



ელექტროენერჯის მოხმარება ყოველწლიურად 10% -ით იზრდება. სპეციალისტები მოახლოებულ კრიზისზე საუბრობენ

access_time 2018-03-15 10:30:53

გჭირდება თუ არა დიდი ჰესები? მომხრეები ენერგოდამოუკიდებლობასა და ეკონომიკურ ეფექტზე საუბრობენ, მონინააღმდეგეები ეკოლოგიურ ზიანსა და მოსალოდნელ საფრთხეებზე აკეთებენ აქცენტს. ეს საკითხი განიხილეს რადიო „კომერსანტის“ ეთერში.

„მწვანე ალტერნატივა“ – ს წარმომადგენელი დავით ჭიპაშვილი ამბობს, რომ საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის მიზეზები დასაბუთებული არ არის. იგი ენერგოეფექტური გეგმის შემუშავების აუცილებლობაზე საუბრობს.

„საქართველო არის მგონი ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც არ აქვს კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ. მაშინ, როდესაც ჩვენ გამოცხადებული კურსით მივდივართ ევროკავშირისკენ. ევროკავშირში ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, ენერგოეფექტურობა და მისი 27 %-მდე გაზრდაა. ჩვენ ქვეყანაში გაანალიზებული არ აქვთ როგორ შეიძლება მოხმარების ზრდის დაბალანსება, ან შემცირება. მაგალითად, დანიაში ელექტროენერჯის შემცირება მოხდა, მაგრამ ამას არანაირი ზეგავლენა არ მოუხდენია ეკონომიკის ზრდაზე. ეს განაპირობა ენერგოეფექტური ღონისძიებების დაგეგვამ, სახელმწიფო სანარმოებში ტექნოლოგიურმა გადაიარაღებამ“, - განაცხადა დავით ჭიპაშვილმა.

დავით ჭიპაშვილის თქმით, დიდი ჰესების მშენებლობა გრძელვადიანი პროცესია. მწვანე ალტერნატივის წარმომადგენელი ამბობს, რომ დღევანდელ გამოწვევებს ჰესების მშენებლობა ვერ უშველის.

“ვთქვათ დიდი ჰესების მშენებლობა არის გამოსავალი, დიდი ჰესების მშენებლობას ორი და სამი თვე ხომ არ უნდა? მაგალითად, ნესკრას მშენებლობა საუკეთესო შემთხვევაში შეიძლება 10 წელი გაგრძელდეს. თუ ენერჯო მოხმარება იზრდება, ამ ათი წლის განმავლობაში რას ვაკეთებთ? როგორ შეიძლება დიდი ჰესი იყოს გამოსავალი დღევანდელ გამოწვევებზე, როცა ეს ჰესი შედეგის მოცემას წლების შემდეგ დაიწყებს”, - განაცხადა დავით ჭიპაშვილმა.

პოლიტიკური ცენტრი „გირჩი“-ს წევრი ნიკა ობოლაძე თვლის, რომ საქართველოს განახლებადი ენერჯის წყაროები სჭირდება, რადგან ქვეყანაში ელექტროენერჯის მოხმარება ყოველწლიურად იზრდება.

“საქართველო გარდაუვლად დადგება იმ აუცილებლობის წინაშე, რომ დასჭირდება მეტი ელექტროენერჯია. ყოველწლიურად ელექტროენერჯის მოხმარება დაახლოებით 10%-ით იზრდება. ერთ სულ მოსახლეზე 8 ჯერ ნაკლებს მოვიხმართ ვიდრე საშუალოდ ევროპაში. საუბარია იმაზე, რომ ჩვენ ვართ პატარა ეკონომიკა. მშპ არის დაახლოებით 3 500 დოლარი მაშინ, როდესაც ევროპაში საშუალოდ ეს არის 35 000 დოლარი. ამით იმის თქმა მინდა, რომ საქართველოს დასჭირდება მეტი ელექტროენერჯია არა იმიტომ, რომ უბრალოდ არაენერჯოექტურად მოვიხმართ, არამედ იმიტომ, რომ განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ისედაც მცირე ელექტროენერჯიას მოვიხმართ” . - განაცხადა ნიკა ობოლაძემ.

ენერჯეტიკოსი ვახტანგ ზარქუა კომერსანტთან საუბარში ამბობს, რომ ამ ეტაპზე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის არავითარი საჭიროება არ არსებობს.

“მოთხოვნა იზრდება ბაზისულ ენერჯიაზე და ბაზისულ სიმძლავრეზე. დღეს 80 %-ზე მეტი გვაქვს პიკური სადგურები, 20 % მდე გავქვს ბაზისური სადგური, ეს კი მომავალში დიდ პრობლემებს შეგვიქმნის. ქვეყანა მიჰყავთ იქეთეკენ, რომ ჩვენ მომავალში ელექტროსისტემას ვერ დავაბალანსებთ”, - განაცხადა ვახტანგ ზარქუამ.

პოლიტიკური ცენტრი „გირჩი“-ს წევრი ნიკა ობოლაძე ამბობს, რომ უნდა იყოს რეგულირებადი ბაზარი, სადაც სხვადასხვა კომპანიები იქნებიან ერთმანეთთან კონკურენციაში. მისივე თქმით, აუცილებელია გაირკვეს საკუთრების უფლება და ინვესტორები ესაუბრებოდნენ მოსახლეობას.

“სახელმწიფო ამბობს, რომ ჩემი არის რაღაც მიწები და მინდა ავაშენებ ჰესს, მინდა არაო, რაც შეცდომაა. სახელმწიფო ვალდებულია ეს მიწები დაარეგისტრიროს და მისცეს მოსახლეობას შემდეგ, უკვე ჰესი აშენდება თუ არა იქნება კერძო სამართლებრივი დავა. თუ იქ მშენებლობა ეკოლოგიურად ვინმესთვის საშიხი იქნება მაშინ დამოუკიდებელმა და ობიექტურმა სასამართლომ უნდა თქვას, რომ ამის უფლება მათ ან აქვთ, ან არა. ეს მიწები უნდა იყოს მოსახლეობის და ისინი გადაწყვეტენ ინვესტორთან საუბარის დროს ექმნებათ თუ არა საფრთხე , უღირთ თუ არა სხვა სოფელში გადასახლება”, - განაცხადა ნიკა ობოლაძემ.

“საქართველოში ურთიერთობის დარეგულირება ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის ხდება მემორანდუმით ან ხელშეკრულებით. მაგალითად, კორეული კომპანია „ქეი ვოთერი-ს აქვს 36 წლიანი ხელშეკრულება სახელმწიფოსთან. სახელმწიფომ ეს დენი მიუხედავად იმისა ჭირდება თუ არა უნდა იყიდოს საკმაოდ მაღალ ფასად. რატომ არ ვქმნით ენერჯო ბაზარს? ბაზარმა განსაზღვროს, თუ ბევრი დენი იქნება ტარიფი შემცირდება. ჩვენთან ბაზარი არ არის, ენერჯეტიკის მინისტრი ინდივიდუალურად ჯდება და ტარიფს ისე ადგენდნენ. თითოეული ჰესი არის მონოპოლისტი გარანტირებული უფლებებით. აუცილებელია ვიცოდეთ სად მივდივართ და რა გვინდა”, -განაცხადა დავით ჭიპაშვილმა.